



ანტიკრიზისული ეკონომიკური ფორმულა
განვითარებადი ქვეყნებისთვის:
საქართველო

21 მარტი, 2020



წინასიტყვაობა

- წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკონსულტაციო კომპანია Reformatics-ის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს მოკლე- და საშუალოვადიან ღონისძიებებს.
- გეგმა მოიცავს კონკრეტული ზომების ერთობლიობას, რომელიც წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეამცირებს გლობალური კრიზისით გამოწვეულ ეკონომიკურ ზარალს და უზრუნველყოფს, რომ რაც შეიძლება მალე დაიწყოს ეკონომიკური ზრდა.
- Reformatics-ის გუნდი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აქ წარმოდგენილი ანტიკრიზისული ღონისძიებები დროებითია და მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციაში უნდა იყოს გამოყენებული. ისინი არ უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს და უნდა გაგრძელდეს მხოლოდ კრიზისის დამლევსათვის აუცილებელი ვადით.
- გეგმა მოიცავს როგორც მყისიერ ზომებს, რომლებიც ახლავე შეასუსტებს კრიზისის უარყოფით გავლენას ეკონომიკაზე, ასევე, წინადადებებს რომლებიც უზრუნველყოფს კრიზისის შემდგომ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას, ვალუტის და ინვესტიციების შემოღინებას და შესაძლოა ხელი შეუწყოს მსოფლიო ეკონომიკური გადანაწილების დროს, ქვეყნის უფრო სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას და მისი ეკონომიკური მნიშვნელობის გაზრდას რეგიონში.

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

სამი ძირითადი კითხვა რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი

①

რა იქნება ქვეყნის
ეკონომიკური ზარალი
შემდეგი 12-18 თვის
განმავლობაში?

②

რა ზომები უნდა მიიღოს
მთავრობამ ზარალის
მაქსიმალურად
შემცირებისთვის შემდეგი
12-18 თვის განმავლობაში?*

③

რა უნდა გაკეთდეს, რომ
გაგრძელდეს ეკონომიკური
ზრდა 12 -18 თვის შემდგომ
პერიოდში?

პასუხები



მთავრობა
ეროვნული ბანკი



რამდენიმე იდეა
წარმოდგენილია
პრეზენტაციაში



სიტუაცია უნდა შეფასდეს 12
თვის შემდეგ, რის შედეგადაც
უნდა შემუშავდეს შემდგომი
ეტაპის სამოქმედო გეგმა

* მოცემული პერიოდი არის მაქსიმალური და აღებულია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, სავარაუდოდ, მომდევნო წლის იანვრისთვის იქნება ხელმისაწვდომი, რის შემდეგაც საჭირო იქნება 4-6 თვიანი პერიოდი ეკონომიკის დასტაბილურებისთვის (თუნდაც ახალი წონასწორობით). თუმცა ეს ვადა მაქსიმალურია, რადგან მანამდე ეფექტური წამლის ბაზარზე შემოსვლამ შეიძლება ვადები საგრძნობლად შეამციროს

მიმდინარე კრიზისის ძირითადი მახასიათებლები

- 2008-2010 წლების ეკონომიკური კრიზისი საბანკო სექტორთან იყო დაკავშირებული და ეკონომიკური გაჯანსაღების ძირითად ინსტრუმენტს ბანკებში დამატებითი ფინანსური ინექცია წარმოადგენდა.
- წინა კრიზისისგან განსხვავებით, წლევანდელი ეკონომიკური კრიზისი ორმაგი გამოწვევით ხასიათდება - როგორც მიწოდების (supply side) ასევე მოთხოვნის (demand side) ვარდნით, რაც ყველა ტიპის ბიზნესზე აისახება, განსაკუთრებით მტკივნეულად კი მცირე და საშუალო საწარმოებს (SME) შეეხება.

ანტიკრიზისული გეგმის მთავარი ამოცანები:

- ✓ უმუშევრობის ზრდის მინიმიზაცია
- ✓ საბანკო სექტორზე კრიზისის გავრცელების პრევენცია
- ✓ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების უზრუნველყოფა/შენარჩუნება და ამ გზით ლარის კურსის დასტაბილურება
- ✓ შესაძლო ეკონომიკური იზოლაციისათვის მომზადება

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

ბიზნესის მხარდაჭერა

მხარდაჭერის ფორმებით ისარგებლებენ მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც აიღებენ შემდეგ ვალდებულებებს:

- შენარჩუნებენ დასაქმებულთა სრულ რაოდენობას, ან შეამცირებენ მხოლოდ 10-20%-ს
- დასაქმებულთა ხელფასს შეამცირებენ არაუმეტეს 20%-ისა
- საშელავათო პერიოდში მსხვილი კომპანიები არ გაინაწილებენ მოგებას

მხარდაჭერით შეუძლიათ ისარგებლონ როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილმა კომპანიებმა

- რადგან პირველადი მიზანი არის რომ მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილს (ვისაც არ აქვს სახელმწიფო სოციალური დახმარება და კერძო სექტორშია დასაქმებული) არ გაუნუღდეს შემოსავალი, ამიტომ, შესაძლებელია მთავრობამ ყველა უხელფასო შვებულებაში გასულ ადამიანს დაუნიშნოს მინიმალური შემწეობის თანხა და პირდაპირ ანგარიშზე ჩაურიცხოს რასაც ზოგიერთი ქვეყანა ახორციელებს (ე.წ. helicopter money).
- თუმცა ჩვენი შემოთავაზებაა, რომ ამ რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მხარდაჭერა სახელმწიფომ კომპანიების გავლით ან ვაუჩერული მექანიზმით განახორციელოს (წარმოდგენილია პრეზენტაციაში). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს კრიზისის ნეგატიური ეფექტის შემცირებას როგორც მოწყვლად მოსახლეობაზე, ასევე ბიზნეს სექტორზე.

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა: მორატორიუმი საგადასახადო ვალდებულებებზე

დროებითი მორატორიუმი SME-ის საგადასახადო ვალდებულებებზე ყველა ტიპის/სექტორის (და არა მხოლოდ ტურისტული სექტორის) ბიზნესისთვის

- საშემოსავლო გადასახადზე 0%-იანი განაკვეთის შემოღება შემდგომი 3-4 თვის განმავლობაში (გაგრძელების პერსპექტივით)
 - ✓ შეღავათის გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლები 2020 წელს შემცირდება მინიმუმ 0.93 მლრდ ლარით.
- მორატორიუმი ქონების გადასახადზე 12 თვის განმავლობაში, ან საპროცენტო განაკვეთის შემცირება დროებით
 - ✓ მორატორიუმი ქონების გადასახადზე (განსაკუთრებით მისი მიწის ნაწილის) ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ კონტექსტის გათვალისწინებით.
 - ✓ შეღავათის გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლები 2020 წელს შემცირდება მინიმუმ 0,5 მლრდ ლარით.

მხარდაჭერის მთავარი მიზანია უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდის და მსყიდველობითუნარიანობის საგრძნობი შემცირების პრევენცია

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა: საბანკო კრედიტები

ბანკებთან კომუნიკაცია საკრედიტო ვალდებულებების გადახდაზე განსაზღვრული პერიოდით მორატორიუმის შემოღებასთან დაკავშირებით

- ✓ მორატორიუმის შემოღება საკრედიტო ვალდებულებების გადახდაზე (ძირითადი თანხა და სესხის პროცენტი) 12 თვის განმავლობაში

ახალ კრედიტებზე ნაწილობრივი გარანტია ეროვნული ბანკის მიერ

- ✓ ეროვნული ბანკი სთავაზობს 75-80%-იან გარანტიას ყველა ახალ სესხს ლარში, რომელსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აიღებს შემდეგი 6 თვის მანძილზე
- ✓ ასეთი ტიპის გარანტია უნდა მოქმედებდეს მიზანმიმართულად, მხოლოდ ეკონომიკური აქტივობისთვის და არა სავალუტო ოპერაციებითვის და ეს ბანკებმა უნდა გააკონტროლონ
- ✓ ასეთი გარანტიის არსებობის პირობებში რისკი მინიმუმადე იქნებ შემცირებული და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთიც შემცირდება
- ✓ ეს შეთავაზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კარანტინის მოხსნის შემდეგ, რათა მცირე ბიზნესი დაუბრუნდეს ეკონომიკურ აქტივობას

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა: მორატორიუმი საგადასახადო ვალდებულებებზე

დროებითი მორატორიუმი საგადასახადო ვალდებულებებზე ყველა ტიპის/სექტორის (და არა მხოლოდ ტურისტული სექტორის) ბიზნესისთვის

- საშემოსავლო გადასახადზე საპროცენტო განაკვეთის 50%-ით შემცირება შემდგომი 3-4 თვის განმავლობაში (გაგრძელების პერსპექტივით)
 - ✓ შეღავათის გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლები 2020 წელს შემცირდება მინიმუმ 0,54 მლრდ ლარით
- მორატორიუმი ქონების გადასახადზე 12 თვის განმავლობაში (გაგრძელების პერსპექტივით), ან საპროცენტო განაკვეთის შემცირება დროებით
 - ✓ მორატორიუმი ქონების გადასახადზე (განსაკუთრებით მისი მიწის ნაწილზე) ასევე მნიშვნელოვანია სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით

ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ნეგატიური ეფექტის შერბილებას და ფინანსური რესურსის აკუმულირებას ბიზნესში, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისა და ინვესტირებისთვის.

მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა: მორატორიუმი საბანკო კრედიტებზე

ბანკებთან კომუნიკაცია საკრედიტო ვალდებულებების გადახდაზე განსაზღვრული პერიოდით მორატორიუმის შემოღებასთან დაკავშირებით

- მორატორიუმის შემოღება კრედიტის ძირის გადახდაზე 12 თვის განმავლობაში
-

ხელს შეუწყობს ნეგატიური ეფექტის შერბილებას და ფინანსური რესურსის აკუმულირებას ბიზნესში, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური აქტივობის განხორციელებისა და ინვესტირებისთვის

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

SME-ს და მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერა

დროებითი მორატორიუმის შემოღება სახელმწიფოსადმი ე.წ. მარეგულირებელ ვალდებულებებზე,

- პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებს
- ირიბი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება საანგარიშგებო მოთხოვნებს, მაგალითად, აუდიტორული დასკვნების წარდგენა, რაც მოითხოვს დამატებით დანახარჯებს

საგადასახადო ამნისტია

- ნებისმიერი კომპანია, რომელიც გადაიხდის დავალიანების ძირის 10-20%-ს, მოეხსნას ყველა ძველი ვალდებულება საგადასახადოს წინაშე
- ხელს შეუწყობს კომპანიების გასუფთავებას და ასევე შეიძლება იქცეს საბიუჯეტო შემოსავლების ერთ-ერთ წყაროდ
- კომპანიები, რომლებიც ამ ამნისტიას გამოიყენებენ, ვერ ჩაერთვებიან ეროვნული ბანკის საკრედიტო გარანტიის პროგრამაში

საპენსიო შენატანების განულება 12 თვით

- დაუზოგავს ფინანსურ რესურს კერძო სექტორს და ფიზიკურ პირებს
 - ✓ ჯამში 0.4 მლრდ ლარი
- დაუზოგავს ფინანსურ რესურს სახელმწიფოს - 0.2 მლრდ ლარი

“ფიუჩერსული” სასაჩუქრე ვაუჩერების შესყიდვა მთავრობის მიერ

- მთავრობის მიერ სასაჩუქრე ვაუჩერების შეძენა სასტუმროებისა და რესტორნებისგან შემდეგი 5 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად ამ ობიექტების სახელფასო ფონდის 50%-ის ოდენობით.
- მთავრობა ახლა აძლევს თანხას ტურისტულ ბიზნესს (მცირესაც და დიდსაც), რათა მოხდეს ამ სექტორში დასაქმებულთათვის 50%-იანი შემოსავლის შენარჩუნება მაინც და ამის საფასურად მისგან ყიდულობს სასაჩუქრე ვაუჩერებს, რომლის გამოყენება შესაძლებელია შეძენიდან შემდეგი 12 თვის განმავლობაში.
 - ✓ სახელმწიფო ვაუჩერებს გამოიყენებს მიმოსვლის შეზღუდვის და საკარანტინო ზომების მოხსნის შემდგომ როგორც შიდა ტურიზმის, ასევე საგარეო ტურიზმის ხელშეწყობისთვის - პირველადი მარკეტინგული ღონისძიებებისთვის, ვაუჩერების ფასდაკლებით გადაცემით ტურისტების პირველ ნაკადზე.
 - ✓ ტურისტული სექტორისთვის მხოლოდ საგადასახადო და საკრედიტო მორატორიუმი ვერ იქნება საკმარისი თანამშრომლების არდათხოვნისთვის და მსგავსი “ფიუჩერსული” პროგრამა ხელს შეუწყობს სექტორის გაკოტრების პრევენციას და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას.
 - ✓ ეს ინიციატივა მთავრობას დაუჯდება დაახლოებით 0.2 მლრდ ლარი.

სარჩევი

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

ფიზიკური პირების მხარდაჭერა:

მორატორიუმი საბანკო კრედიტებზე და ოპოთეკური დაკრედიტების ხელშეწყობა

ბანკებთან კომუნიკაცია საკრედიტო ვალდებულებების გადახდაზე განსაზღვრული პერიოდით მორატორიუმის შემოღებასთან დაკავშირებით

- მორატორიუმის შემოღება საკრედიტო ვალდებულებების გადახდაზე (ძირითადი თანხა და სესხის პროცენტი) 6 თვის განმავლობაში

იპოთეკური დაკრედიტების ხელშეწყობა თანადაფინანსებით

- ლარში ახალ იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ბანკის გარანტიის გაცემა (75%-ზე)
- ასეთი მოდელი შეამცირებს სესხის რისკს და შესაბამისად, უნდა შეამციროს სესხის საპროცენტო განაკვეთიც

იპოთეკური კრედიტების წახალისება ხელს შეუწყობს სამშენებლო სექტორში მოთხოვნის ვარდნის პრევენციას და ასევე, სამშენებლო და დეველოპერული კომპანიების გაკოტრების თავიდან აცილებას

სარჩევი

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

საბანკო სექტორის მდგრადობა

ბანკების პოტენციური ფინანსური დანაკარგების ანაზღაურების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ დროებითი ზომების შემოღება

- კაპიტალზე მოთხოვნის დროებით მინიმუმამდე დაყვანა
- დოლარში გაცემული სესხის კაპიტალის ადეკვატურობაში ასახვის კოეფიციენტის განულება
- ლარში გაცემული სესხის ზღვრის (200 000 ლარი) განულება
- დოლარში სარეზერვო მოთხოვნების განულება (ან მინიმუმზე დაყვანა)
 - ✓ საბანკო სექტორს გამოუთავისუფლებს 700 მილიონ დოლარს
- ლარში სარეზერვო მოთხოვნების შემცირება ასევე მინიმუმამდე
- ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული ბანკი ადვილად ვერ დაწევს რეფინანსირების განაკვეთს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს დოლარზე კიდევ უფრო მეტი მოთხოვნა და კიდევ უფრო გააუფასუროს ლარი

სარჩევი

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

სავალუტო სვოპი (currency swap)

სავალუტო სვოპი აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო ბანკთან (FED) და ევროპის ცენტრალურ ბანკთან (ECB), ლარის ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით

- სავალუტო სვოპი (currency swap) არის ერთ-ერთი საუკეთესო გზა კრიზისის დროს საქართველოში ფინანსური სექტორის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.
- Currency Swap-ის გამოყენება 2007 წელს, საკრედიტო კრიზისის დროს დაიწყო. თავდაპირველად, ეს მექანიზმი გამოყენებულ იქნა განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ. მას შემდეგ, რაც გლობალური სისტემის ზეწოლა გაიზარდა, FED-მა გააფართოვა სვოპ მექანიზმი მცირე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ასევე, სამხრეთ კორეასა და ბრაზილიაში

როგორ მუშაობს Currency swap



GEL 3.15 მილიარდი ირიცხება FED-ის ანგარიშზე სვოპ-ში

US\$ 1 მილიარდი ირიცხება სვოპ-ის ანგარიშზე FED-ში

საქართველოს ეროვნული ბანკი და FED შეთანხმდებიან, რომ გამოისყიდონ საკუთარი ვალუტა მომავალში (მითითებულ თარიღზე) მიმდინარე გაცვლითი კურსით

სვოპი გადაუხდის პროცენტს FED-ს საბაზრო განაკვეთის მიხედვით (ანუ, როდესაც სვოპი ხსნის სახსრებს FED-ის ანგარიშიდან, ის უხდის FED-ს პროცენტებს, რომელიც სვოპ-ის ტენდერების ოპერაციებიდან მიღებული %-ის ტოლია). FED არ იხდის პროცენტებს, რადგან ლარში არსებული ფინანსური სახსრები არ გამოიყენება შეთანხმების მოქმედების ვადის მანძილზე.

სარგებელი საქართველოსთვის

- ადგილობრივი კომერციული ბანკების მხარდაჭერა ადგილობრივი მომხმარებლების (ბიზნესი, ფიზიკური პირები) აშშ დოლარით და ევროთი უზრუნველსაყოფად
- ადგილობრივი კომერციული ბანკების მხარდაჭერა უცხოურ ვალუტაში სარეზერვო მოთხოვნების შენარჩუნებისთვის
- ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა COVID-19-იდან გამომდინარე გამოწვევების შედარებით უმტკივნეულოდ გადალახვისთვის

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციები

ინტენსიურად მუშაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (IFIs) ლარში დენომინირებული ობლიგაციების გამოსაცემად

- ინსტიტუტები, რომლებსაც აქვთ ეროვნულ ვალუტაში (ლარში) ობლიგაციების გამოცემის გამოცდილება:
 - ✓ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
 - ✓ აზიის განვითარების ბანკი (ADB)
 - ✓ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)
- ლარში დენომინირებული ობლიგაციები ხელს შეუწყობს:
 - ✓ ეროვნული ვალუტის ლიკვიდურობის შენარჩუნებას
 - ✓ სავალუტო რისკების შემცირებას
 - ✓ სავალუტო სვოპს FED-თან და ECB-ისთან

2020 წლის ბიუჯეტში ამ მეთოდით უნდა შეივსოს დანაკლისი, რასაც საშემოსავლოსა და ქონების გადასახადების საგადასახადო მოროტორიუმი გამოიწვევს - 1.97 მლრდ ლარი. ასევე მოსალოდნელია კრიზისიდან გამომდინარე დღგ-ს ბრუნვის შემცირებით გამოწვეული დანაკლისიც - 0.7 მლრდ ლარი, სულ 2.67 მლრდ ლარი (დანაკლისი დათვლილია იმ დაშვებით, რომ მოხდება დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება 20%-ით, რაც განსაზღვრულია შეღავათით სარგებლობის პირობით).

ჩარჩო ხელშეკრულებები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან

გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს დონორი ქვეყნებიდან ინვესტიციების ნაკადებზე, ასევე, ინვესტორთა განწყობაზე განახორციელონ ინვესტიციები, ეკონომიკის სტიმულირების ეფექტურ ალტერნატივას წარმოადგენს



ფინანსური რესურსის მოზიდვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან სხვადასხვა სექტორის და/ან კომპანიის პირდაპირი დაფინანსების მიზნით

- ჩარჩო ხელშეკრულებების გაფორმება (framework agreements) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან (IFI) ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი ინვესტიციების თაობაზე (სექტორებში/კომპანიებში).
- ასეთი ხელშეკრულებების გაფორმება შესაძლებელია ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან (EBRD), აზიის განვითარების ბანკთან (ADB), აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან (AIIB), საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასთან (IFC).
- ფინანსური რესურსს, რომელიც გამოყოფილია კერძო სექტორისთვის (არა სუვერენული), ექნება გაცილებით პოზიტიური გავლენა, ვიდრე სუვერენულ კრედიტს. ასევე კერძო სექტორისთვის გამოყოფილი რესურსი იქნება უფრო ეფექტური სამუშაოვადაიან პერდიოდში, როდესაც რეცესიის შედეგები გახდება უფრო მეტად მტკივნეული და საგრძნობი.
- ხელშეკრულებების გაფორმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) ფულადი რესურსის მოზიდვის მიზნით.



სარჩევი

1.0	შესავალი
2.0	ბიზნესის მხარდაჭერა
2.1	მცირე და საშუალო ბიზნესი
2.2	მსხვილი ბიზნესი
2.3	ნებისმიერი ზომის ბიზნესი
3.0	ფიზიკური პირების მხარდაჭერა
4.0	საბანკო სექტორის მდგრადობა
5.0	ვალუტის შემოღინება და ლარის კურსი
6.0	გრძელვადიანი ღონისძიებები

12-18 თვის შემდეგ ეკონომიკური ვარდნის გაგრძელების პრევენციის ღონისძიებები

- შემდეგი შემოთავაზებები ვერ იქნება ეფექტური უახლოეს თვეებში და ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილებას, თუმცა იქნება უაღრესად ეფექტური 12-18 თვის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაც უფრო მალე დაიწყება ასეთი ტიპის პროგრამები, მით უფრო პოზიტიური ეფექტი ექნება მათ საშუალოვადიან პერიოდში
-
- ასევე გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია და სასურველიც კი, რომ შემდგომი შემოთავაზებები განხორციელდეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად და გახდეს იმ ჩარჩო შეთანხმებების ნაწილი, რომელიც წინა თავში იყო განხილული

PPP-ის ეფექტური სქემები (1/2)

ინვესტიციების დროებითი დოლარიზაცია

მსგავსი კრიზისების დროს ინვესტორები ახდენენ აქტივების რეალიზაციას ძირითადად აშშ დოლარში. ამ სიტუაციაში ინვესტიციების მოზიდვა ეროვნული ვალუტის რისკის გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელია. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავდეს კერძო-საჯარო პარტნიორობის ისეთი პროექტები (PPP), სადაც მთავრობა გარანტირებულად შეიძენს გამოშვებულ პროდუქციას დოლარში (ამან შეიძლება მოიზიდოს გარკვეული ინვესტიციები), მაგრამ შეზღუდული ვადით. წინასწარ უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც იქნება ხელშეკრულების ნაწილი, რითაც, ვითარების შემსუბუქების შემდეგ დოლარის სქემა ლარის სქემით შეიცვლება.

ეფექტური PPP სქემების შემუშავება იმ სექტორებში ინვესტიციების მოსაზიდად, რომელთაც უფრო მასშტაბური და პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ

- ✓ ეფექტური მექანიზმების შემუშავება სავალუტო რისკების შესამცირებლად, მაგალითად, განახლებადი ენერგიის სექტორში - ახალი PPA (ელექტროენერგიის შესყიდვის კონტრაქტების) შეთავაზება მთავრობის მიერ, დოლარში ნომინირებული, 15 წლით
- ✓ ასევე შესაძლებელია ლარში კრედიტის თანასუბსიდირება ასეთი ტიპის პროექტებისთვის და შესაბამისად კრედიტის ნაწილში ტარიფის დაფიქსირება ლარში, ხოლო კაპიტალის ნაწილში დოლარში

ასეთი მექანიზმების გამოყენება, გარდა განახლებადი ენერგიისა, შესაძლებელია წარმოების და მომსახურების სფეროებში, რადგან ის ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების შემოძინებას, ადგილობრივი პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდას და შესაბამისად - იმპორტზე დამოკიდებულების გარკვეულწილად შემცირებას

PPP-ის ეფექტური სქემები

მნიშვნელოვანია PPP-ის ეფექტური სქემების და შესაბამისი სტიმულების შემუშავება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, მათ შორის:

- პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიკაცია ახალ PPP სქემაში ჩართვისთვის ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მსოფლიო ეკონომიკისა და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობის და ტენდენციების გათვალისწინებით
 - ✓ COVID 19 გავრცელების გამო, ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად ჩინეთის) ზოგიერთი სექტორი ამოვარდა ღირებულებათა შექმნის და მიწოდების ჯაჭვებიდან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა არსებობდეს ზოგიერთი წარმოების საქართველოში გადმოტანის შესაძლებლობა PPP-ის ეფექტური სქემების გამოყენებით.
 - ✓ შეიძლება ისეთი სექტორებზე ორიენტაცია, როგორებიცაა მაგალითად, სამშენებლო მასალების წარმოება, სასუქის წარმოება, ზოგიერთი სახის ქიმიური წარმოება
- ეს მიდგომა ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას და დივერსიფიკაციას
- PPP პროექტები იქნება დროებით წამგებიანი ქვეყნისთვის, მაგრამ საშუალოვადიან პერსპექტივაში მოუტანს დიდ უპირატესობას ქვეყანას, რადგან ისინი ხელს შეუწყობს საქართველოს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას

მხარდაჭერის ზომები



- მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფა
- პროექტების თანადაფინანსება
- საჭიროების შემთხვევაში, გარანტირებული შესყიდვები განსაზღვრული დროით, (არსებული რეალობის გათვალისწინებით)